№ 92

შაბათი, 29 აპრილი, 1900 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

187 — 1900

# ივერია

№ 92

შაბათი, 29 აპრილი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 22

**კნეინა მარიამ სვიმონის ასული სიდამონ—ერისთავისა**
და ეკატერინოდარის საოლქო სასამართლოს ბრალმდებლის ამხანაგი **ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ვოლოდკოვიჩი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთა და მეგობართა გარდაცვალებასა პირველი ძვირფასისა და საყვარელის დისწულისას, ხოლო მეორე მეუღლისას

**სოფიო ივანე ბაღათურის ასულის ვოლოდკოვიჩისას,**

ქალაქ ანაპაში 22 აპრილს.
განსვენებულის გვამი გადმოტანილ იქმნა მცხეთის სამთავრო დედათა მონასტერში და ამავე მონასტრის გალავანში დაკრძალულ იქმნება შაბათს, 29 აპრილს, შუადღის პირველს საათზედ.

(1—106—1)

## სახალხო სეირნობა საქველმოქმედო ბაზრითურთ

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ მიერ განზრახული სახალხო სეირნობა საქველ-მოქმედო ბაზრითურთ გაიმართება 25 და 26 მაისს მუშტაიდის ბაღში, და თუ ვინიცობაა ამინდმა ხელი შეუშალა, იმ შემთხვევაში გადადებულ იქნება 28 და 29 მაისისათვის. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლღა თადეოზის ასულ ჭავჭავაძესთან, ნიკოლოზის ქუჩა, № 21.

## ქ. ქუთაისში ექიმი გაბრ. იოს. ზოკიელოვი

იღებს ავადმყოფებს დილ. 9—12ს., საღამ. 5—7 საათ.
ტფილისის ქუჩა, ლევან ქურთიშვილის სახლი, № 20.

(40—140—33)

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. საოპერაციო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ქ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაგანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** $1—1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 საათ.

**ვ. მ. მახვილაძე**—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

დილით:

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**, კბილის სნეულებანი, 10—2—მდის და ნაშუადღევის 5—6-დის.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი**—12—1 საოპერაციო. სამშაბ. 3—4.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისის, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

საღამოთი:

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა, შინაგანი და ბავშვებისა და ბავშვთა ყვავილის აცრა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგანაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.
დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

## ახალი ამბავი

—

*** როგორც შევიტყეთ, მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი ფლაბიანე ამ წლის მაისის შუა რიცხვებში სამსახურის საქმეებისა გამო პეტერბურგში თურმე აპირებს წასვლას.

*** ყარსიდგან დეპეშით გვატყობინებენ, რომ ტფილისის სამოსამართლო პალატას გაურჩევია ცნობილი საქმე თავ. ზეჟან ივანეს ძე ხერხეულიძისა, რომელსაც სამსახურში დანაშაულობის ჩადენა ბრალდებოდა. პალატას ხერხეულიძე გაუმართლებია.

*** ქუთაისის სააღგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა კრება არის 30 მაისს დანიშნული: კრება განიხილავს ბანკის მოღვაწეობის მოქმედებას 1899 წელს; 1900 წლის ხართაღრიცხვას; საზოგადო საჭიროებისათვის გადადებულ თანხის განაწილებას; შესწორებას და დამატებას წესდების ზოგიერთ მუხლებისას; ზედამხედველ კომიტეტის მოხსენებას იმ მამულების შესახებ, რომლებიც ბანკს დარჩა და ამოირჩევს გამგეობისა და ზედამხედველ კომიტეტის იმ წევრებს, რომელთაც სამსახურის ვადა უთავდებათ.

*** კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს გარდაუწყვეტია დაბეჭდოს კომისიისაგან შემუშავებული პროექტი ამ საზოგადოებასთან ბიუროს დაარსების შესახებ სასოფლო-სამეურნეო სასტატისტიკო ცნობების შესაკრებ-შესამუშავებლად და შემდეგ გაუგზავნოს ტფილისის სათავადაზნაურო საადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველ კომიტეტს. ამასთანავე საზოგადოების საბჭოს, მიუღია რა მხედველობაში ბიუროს მოსაწყობად გადადებული საშუალება, განუზრახავს ბიუროს დაარსება ჯერ მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო სასტატისტიკო ცნობების შესაკრებ-შესამუშავებლად და შემდეგ, თუ ვინიცობაა განზრახული ბიურო მთელი ამიერ-კავკასიის მოხსენებულ სასტატისტიკო ცნობების მოკრებას ვერ გასწვდა, დაკმაყოფილდეს ამ თავით მხოლოდ ორ ან სამ ამიერ კავკასიის გუბერნიაში მოქმედებით.

*** 27—28 აპრილს, ნაშუაღამევის 2 საათზედ, ვერაზედ „ედემის“ ბაღში, ამ ბაღის პატრონს ბესარიონ ბაქრაძესა და თავ. ალექსანდრე ციციშვილს რაღაცა მიზეზისა გამო მოუვიდათ ერთმანეთში ჩხუბი. ჩხუბის დროს ა. ციციშვილმა იშიშვლა ხმალი და მძიმედ დასჭრა თავში ბ. ბაქრაძე, რომელიც მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს. როგორც ამბობენ, ბაქრაძეს ჭრილობა საშიშოდ აქვს თურმე. დამნაშავე თავ. ციციშვილი პოლიციის პირველ ნაწილის ბოქაულს ბ-ნ ფირუმოვს გამომძიებლისათვის გარდაუცია.

*** წარსულის 1899 წლის 1 იანვრიდგან ამ წლის პირველ იანვრამდე შორაპნის მაზრის საქარის ვაზის სავენახედგან ამერიკული ვაზის ნერგები წაუღია 610 კაცს სულ 39,468 ღერი, უკვე დამყნილი, 264,956 დაუმყნელი. 1899 წლის დამლევს ამერიკულ ვაზებზედ დამყნილი და მომზადებული ვენახები ქუთაისის გუბერნიაში, განსაკუთრებით შორაპნისა და ქუთაისის მაზრების 138 სოფელში ყოფილა. ეს ვენახები ისე რიგზეა დაყენებულ-მოვლილი, რომ ბევრად უფრო კარგს მოსავალს იძლევა თურმე, ვიდრე ადგილობრივი დაუმყნელი ვენახები.

*** აგრონომის სიმონსონის მიერ იაპონიიდგან ჩამოტანილი ზეთის მცენარე „ეგომა“ (Perilla ocimoides) მეურნეობის მინისტრის რწმუნებულის განკარგულებით უკვე დაურიგდა სამერნეო სადგურებს, რომ ადგილობრივ დასთესონ და სცადონ, თუ როგორ იხეირებს.

*** რადგანაც 3 მაისიდგან წლიური გამოცდა დაეწყებათ, 1-ლ კლასიკურ გიმნაზიის მოწაფეთ დღეიდგან მეცადინეობა უკვე მოესპოთ და დათხოვნილ იქმნენ.

*** ამ დღეებში საიმპერატორო გეოგრაფიულ საზოგადოების თავმჯდომარე, პროფესსორი ი. ვ. მუშკეტოვი ბაქოდგან ტფილისში ჩამოვა და მერე აქედგან ახალქალაქს წავა ამ ბოლოს დროს მომხდარ მიწის ძვრის გამოსაკვლევადა და ადგილობრივ ნიადაგის მეცნიერულად შესასწავლად.

*** გორის მაზრაში, როგორც სხვა-და-სხვა ადგილიდგან გვატყობინებენ, მოსავალს კარგი პირი ვერ უჩანს თურმე.

*** გორის მაზრაში სეტყვისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შეკრებილი ფული მაზრის ადმინისტრაციის დახმარებით უკვე დაურიგდა გლეხებს ხორბლისა და საქონლის საყიდელად.

*** რადგანაც სეტყვის ამრიდმა მორტირებმა ხალხს დიდი სამსახური გაუწია საზღვარ-გარეთა და სეტყვა იშვიათ მოვლენად შეიქმნა, მეურნეობისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს სურვილი განუცხადებია, ეს მანქანები რუსეთშიაცა სცადონ. ეჭვი არ არის, თუ მართლა განხორციელდა სამინისტროს განზრახვა და აღნიშნული მანქანების ხმარება შემოიღეს, კავკასიას დიდს შეღავათს მოუტანს, სადაც სეტყვა მეტად ხშირი მოვლენაა.

*** ალექსანდრეს სამასწავლებლო ინსტიტუტის დირექტორს ბ-ნს სტრელეცკის, რომელმაც უკვე ოც-და-ათი წელიწადი დაიმსახურა სამოსწავლო უწყებაში, საერო განათლების მინისტრისაგან ნებართვა მოჰსვლია, რომ ხუთის წლით კვლავ დარჩეს აღნიშნულს სამსახურში.

*** როგორც ანაპიდგან იუწყებიან, ქალაქის მოურავისა და მმართველობის არჩევა მაისში მოხდება.

*** როგორც სატახტო გაზეთები იუწყებიან, გზათა სამინისტრო უკვე შესდგომია იმ საგნის გარჩევას, თუ რკინის გზებზედ მსახურთათვის რა წესითა და რიგით უნდა იქმნას დაარსებული სანატორიები, სადაც ავადმყოფ მსახურთ საშუალება მიეცემათ წმინდა ჰაერითა, ახტალითა და სამკურნალო წყლებით ისარგებლონ.

*** გზათა სამინისტროს უკვე გარდაუწყვეტია რკინის გზით მოგზაურთათვის მმოძრავი, დასადგმელი ფარნები გაიჩინოს და საჭიროების მიხედვით მოგზაურთ უფასოდ შეეძლოთ ღამე მათით სარგებლობა. ეჭვი არ არის ეს ახალი განკარგულება მოსაწონია, რადგანაც ამიერიდგან, თუ რომ მგზავრი მოისურვებს, შეუძლიანთ ვაგონში ღამეც ისევე იკითხონ და თავი გაირთონ, როგორც დღისით.

*** მეურნეობის ინსპექტორი კავკასიაში ვ. ნ. გეევსკი და აგრონომი ს. ნ. ტიმოფეევი გაემგზავრნენ საქარის სანერგეში, რათა დაესწრნენ მებაღე მუშათა გამოცდას.

*** მარგანეცის მწარმოებელთა მესამე კრება მაისის 15-მდე მოხდება ქუთაისში. კრებას, სხვათა შორის, წარედგინება განსახილველად: მუშათათვის საავადმყოფოს დაარსება ჭიათურაში; მარგანეცის ხარისხებად დაყოფის წეს-რიგის პროექტი; მარგანეცის მადნების დაცვისათვის სატეხნიკო კომიტეტის დაარსება; ჭიათურაში მომრიგებელ სასამართლოს დაარსება და სხვანი.

*** რკინის გზის უწყებას ამ ჟამად ორი ფრიად საყურადღებო საგანი აქვს გარდასაწყვეტი: ერთი ამათგანი რკინის გზის სადგურების მსახურთა სამუშაო დროს შეეხება, ხოლო მეორე რკინის გზებზედ დასასაფლავებელ კასსების დაარსებას.

*** ბაქოს ნავთის მწარმოებელთა მორიგი კრება 5 მაისს მოხდება.

*** ქუთაისის ოლქის სასამართლოს ამ დღეებში გაურჩევია ცნობილი საქმე თ. გ. ჩიჩუასა და ნ. მგელაძის შორის, რომლებმაც შარშან ბანკის კრების დროს ქუთაისში ერთმანეთი დასჭრეს. სასამართლოს ორივე უცვნია დამნაშავედ და მიუსჯავს: ნ. მგელაძისათვის 4 წლით დატუსაღება, ხოლო თ. ჩიჩუასათვის 1 წლით.

*** გზათა სამინისტროს გარდაუწყვეტია, რომ რკინის გზის I, II, და III კლასის სადგურების უფროსებსა, მათს თანაშემწეებსა და კასსის გამგეთ ოთხ-კლასიან მაზრის სასწავლებლებისა ან და გიმნაზიის ოთხი კლასის მოწმობა უთუოდ ჰქონდეთ ხოლმე. წინააღმდეგს შემთხვევაში აღნიშნულს ადგილებს ვერ მიიღებენ.

*** სამიწად-მოქმედო დეპარტამენტს უთხოვნია მიწად-მოქმედების რწმუნებულისათვის კავკასიაში, მიანდეთ აგრონომს ბ-ნ ტიმოფეევს, რომ ჩაის მცენარის მოშენების ცდას შეუდგეს ოზურგეთის მაზრაშიო.

*** გუშინ, ნაშუადღევის ოთხ საათზე, ნაფიცი ვექილის თანაშემწემ ახუმოვმა თავისს დედინაცვალის მოკვლა განიზრახა და ხელსა და ფერდში დასჭრა, რომლის შემდეგაც თითონაც მძიმედ დაიჭრა თავი. როგორც ექიმების გასინჯვამ აღმოაჩინა, ახუმოვი საშიშრად არის დაჭრილი.

*** ხვალ, 30 აპრილს, სრულდება 25 წელი, რაც კავკასიაში წითელის ჯვრის მოწყალების დათა ნადეჟდას საზოგადო საცხოვრებელი იქმნა დაარსებული. საზოგადო საცხოვრებლის შენობაში ამ დღეს ნათლუხში პარაკლისი და დღესასწაულობა იქმნება გარდახდილი.

*** პროფესსორის დოკუჩაევის კავკასიაში ჩამოსვლას ივნისში მოელიან. შემოდგომაზედ დოკუჩაევი რამდენსამე ლექციას წაიკითხავს ტფილისში.

*** ქალაქის გამგეობისათვის ქალაქის ინჟინერს ლისიცინს მოხსენება წარუდგენია იმის შესახებ, თუ ნატახტარიდგან წყლის გამოყვანა ქალაქს რამდენი დაუჯდება. ამ პროექტით, ნატახტრის წყლის მილი დღეში სამ მილიონამდე ვედრო წყალს წამოიწყვანს და ორ მილიონზედ მეტი ფული არ დაუჯდება ქალაქს.

*** 6 მაისიდგან ტფილისსა და ბათუმს შორის სასწრაფო მატარებლები ივლიან. ეს მატარებლები მხოლოდ სამტრედიასა, რიონსა, ყვირილასა, ხაშურსა და გორში დადგებიან და სამისავე კლასის ვაგონები ექნებათ.

*** გაზ. „Кав. Сельск. Хоз.“-ს სიტყვით, კავკასიის სააბრეშუმო სადგურის გამგეს ნ. ნ. შავროვს თურმე ჰგზავნიან საზღვარ გარედ ევროპის მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის მდგომარეობის გასაცნობადა და ადგილობრივ შესასწავლად.

*** როგორც გაზ. „Кав. Сельс. Хоз.“ იუწყება, ამ ერთის კვირის წინად ნაფარეულის საუფლისწულო მამულში ღვინის დასაყენებელი შენობა დამწვარა.

*** ქ. ქუთაისი. 22 აპრილს მოხდა ქუთაისის ხელოსანთა მამასახლისის არჩევა. 158 ხელოსანი შეიკრიბა. კრებას თავმჯდომარეობდა ბ-ნი გ. ხელაძე, ამხანაგათ ჰყავდა ბ-ნი ივანე ხოჯაშვილი. ბ-ნმა ხელაძემ გამოუცხადა კრებას, რომ კანდიდატები დაასახელეთო. დასახელებულ იქმნენ: ბ-ნები ივანე ხოჯაშვილი, ფილიპე ხელაძე, სარდიონ აბზიანიძე, ნესტორ აგილავა და ილია სტებაკოვი. ბ-ნმა ნ. ოკროშიძემ უთხრა კრებას, რომ ერთ წელიწადს უჯამაგიროთ ვიმსახურებ იმ პირობით, რომ, თუ სარგებლობას მოუტან ხელოსნებს, მერმე დაამფასონ ჩემი შრომა და სასყიდელიც მომცენო. ამაზედ ხალხმა ერთ ხმათ უარი განაცხადა. ბ-ნმა ხოჯაშვილმა განაცხადა, რომ რადგან ბევრი საქმე მაქვს, არ შემიძლიან ყუთი დავიდგაო. ხალხმა მიუგო, რომ არ შეიძლება ყუთი არ დაიდგათ, და თუ ამაზე თქვენ უარს იტყვით, უარი სთქვით სხვა სამსახურზედაცაო. ხოჯაშვილმა ისევ თავისი გაიმეორა. ხალხმა დიდის ხმაურობის შემდეგ ყუთი დაუდგა ბ-ნს ხოჯაშვილს. ხოჯაშვილმა ყუთი აიღო; ხალხი აღელდა და კინაღამ უწესოება მოხდა. მაშინ ბ-ნმა ხელაძემ სთხოვა ხოჯაშვილს ან ყუთი დაიდგით, ან დარბაზიდგან გადითო, როგორც ხალხი თხოულობსო. ხოჯაშვილი გავიდა. შემდეგ დაუდგეს ყუთი ოთხს დანარჩენ კანდიდატს ბ-ნ ი. ხოჯაშვილსაც, მიუხედავად იმისა, რომ ის არ დასწრებია კრებას. ამოუვიდათ: ფილიპე ხელაძეს 129 თეთრი კენჭი და 29 შავი, სარდიონ აბზიანიძეს 74 თეთრი და 84 შავი, ილია სტებაკოვს 30 თეთრი და 128 შავი, ნესტორ აგილავას 38 თეთრი და 120 შავი და ივანე ხოჯაშვილს 16 თეთრი და 142 შავი. ამნაირად არჩეულ იქმნა ბ-ნი ფილიპე ხელაძე.

ხმა დადის, ვითომც ბ-ნ ხოჯაშვილს საჩივარის მირთმევა უნდოდეს ბ-ნ გუბერნატორისათვის, რომ არჩევანი უწესოდ მოხდაო.

*** ს. მარტყოფი (ტფილის მაზრა). 25 აპრილს სამის წლის ვადით აღმორჩეულ იქმნა მირაბად აქაური მცხოვრებელი თავადი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ხიმშიაშვილი, რომელსაც ეს მესამედ ირჩევენ. ათი დღე იქნება, რაც აქ ძლიერ ცუდი ამინდია და სიცივე; ხალხი გულხელ დაკრეფილი შეჰყურებს მოღრუბლულს ცასა, მოცდენას კაცი არ იჩივლებს, მაგრამ ძნელი ის არის, რომ სიცივის გამო ბალახი არ მოვიდა მინდორში, რის გამოც შინაური საქონელი შეწუხებულია, მით უფრო, რომ ზამთრის საჭმელი თივა და ბზე ვისაც ჰქონდა, ადრევე დაუშურნენ და ყველამ გაჰყიდა. თუ ამ ცუდმა ამინდმა ცოტას ხანს კიდევ გასტანა, საქონელი ნახევარი აღარ გაგვყვება მაისამდის.

*** 1900 წლის 8 აპრილიდგან 16-მდე ქალაქ ტფილისში ავად გამხდარა: წითელათი 5, ყელ-ჭირვებით 8 (ამათგანი 1 მომკვდარა), კანის სახადით 1 და შემოსაბრუნ სახადით 1.

*** 25 აპრილს, ღამით, ასისთავის ზემცევის ბინიდგან, რომელიც პოლიციის მე-9 ნაწილში იმყოფება, კარების შუშა ამოუღიათ და გამოუტანიათ: ლითონის საათი ოქროს ძეწკვითა და ყეტონით, შავი ჩოხა და წითელი ქიშმირის ახალუხი, სულ ათი თუმნის ღირებულობისა. გამოძიება სწარმოებს.

ს. გოდოგანი (ქუთ. მაზრა). უგზოობის გამო მეტად შეწუხებული ვართ, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევს გზების გაკეთებას. ამ წელში ხალხმა სურვილი განაცხადა ერთ კლასიანი სამრევლო სკოლის დაარსებისა და ოთხი კაცი აირჩია საქმის გასახორციელებლად, მაგრამ, საუბედუროდ ეს სასიკეთო საქმე ჩაიშალა რამდენიმე უკუღმართის კაცის წყალობით. ჩვენს სოფელში გავრცელებულია წვრიმალი ქურდობა; მინდორში აღარ აყენებენ ქურდ-ბაცაცები გოჭებსა, ინდაურებსა და ბატებს. ამას წინად ცხენის მოპარვაც განიზრახა ერთმა ვაჟბატონმა, მაგრამ მეზობელმა წაასწრო და ხელი შეუშალა.

*** 26 აპრილს პოლიციის მე-10 ნაწილში ტფილისის მოქალაქემ ანტონ რეზნიკოვმა გამოაცხადა, რომ ავჭალის ქუჩაზედ ჩემ პურის საწყობიდგან მოიპარეს 30 ტომარა და ლოდი, ღირებული სულ 7 მან. ქურდობის ბრალი ედება ვიღაც ბენიაბინოვს, რომელიც პოლიციას უკვე დაუპატიმრებია.

*** პოლიციის მე-6 ნაწილში, ვარანცოვის ქუჩაზედ, 28 აპრილის ღამეს გაუვლია ოსმალეთის ქვეშევრდომს ლევან ლუსიციანცს ეტლით ორს ამხანაგთან ერთად, რომელთაგან ერთი ამხანაგის გვარი არა აქვს გამოცხადებული. ლუსიციანცი დაუჭრიათ მუცელში დანით. დაჭრილი მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს, ერთი მისი ამხანაგი დააპატიმრეს და მეორეს-კი პოლიცია დაეძებს.

## ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა კრება

27 აპრილი

27 აპრილს კრება საღამოს 8 საათზედ დაიწყო. დაწყებისას თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დილის კრებაზედ წაკითხულ იქმნა ყველა ის ქაღალდი და საბუთი, რაც ბანკის ბაქოს სააგენტოს შეეხება და ეხლა კრებას შეუძლიან ამ საქმის განხილვას შეუდგესო.

თავ. ვ. გ. მაჩაბელი. გამგეობის მოხსენებაში ყველა ის, რაც ბაქოს სააგენტოში მოხდა, სამწუხარო მოვლენად არის წოდებული და მეც ამ მოხსენებასთან ერთად ეს საქმე სამწუხაროდ უნდა ჩავთვალო. მაგრამ დამნაშავე ამ სამწუხარო მოვლენასა და იმ ზარალში, რომელიც მას მოჰყვა, მარტო ერთი კაცი არ არის: დამნაშავენი არიან აგრეთვე გამგეობისა და ზედამხედველ კომიტეტის წევრნიც და აი რადა: როგორც დილას წაკითხულ თვით გამგეობის მიერვე შემუშავებულ ინსტრუქციიდგანა სჩანს, გამგეობის წევრები ჯერ-ჯერობით უნდა წასულიყვნენ ბაქოში: თითოეული წევრი სულ ცოტა ორს თვეს მაინც უნდა დარჩენილიყო. გამგეობამ ინსტრუქცია თვითვე დაარღვია და ბ-ნ ყიფიანს გარდა ბაქოში სხვას არავის ჰგზავნიდა. პირველმა რევიზიამ, რომელიც თვით გამგეობის თავმჯდომარემ თავ. ი. გ. ჭავჭავაძემ მოახდინა, ორი თუ სამი რაღაც უმნიშვნელო შეცდომა აღმოაჩინა წიგნებში. ამ რევიზის შემდეგ ბ-ნ ყიფიანისაგან გამგეობას ყოველ კვირეული ანგარიშები დროზედ არ მოსდიოდა და ეს გარემოება პირველი საუკეთესო შემთხვევა იყო გამგეობას ესარგებლნა, ინსტრუქციის თანხმად ყიფიანი გამოეწვია და იმის მაგივრად ბაქოში სხვა გაეგზავნა. მაგრამ გამგეობამ ვერ გამოიყენა ეს შემთხვევა. ბევრის უცნაურის ხმების შემდეგ და აგრეთვე იმის შემდეგ, რაც დამფასებელ კომისიის ერთმა წევრმა განაცხადა, რომ ბაქოს სააგენტოში საქმეები კარგად ვერ მიდისო, დანიშნულ იქმნა მეორე რევიზია. პირველმა რევიზიამ თუ მხოლოდ ორი უმნიშვნელო ნაკლი აღმოაჩინა, ამ რევიზიამ ორის ნაცვლად ოც ნაკლზედ მეტი აღმოაჩინა, მერე ისეთი, რომლისთვისაც თამამად შეიძლებოდა ყიფიანის სამართალში მიცემა. მაგრამ ბანკის გამგეთ არამც თუ სამართალში არ მისცეს, ინსტრუქციისამებრ ყიფიანი არ-კი დაიბარეს და იმის ადგილას სხვა არ გაგზავნეს ბაქოში. მით უფრო სამწუხაროა ეს, რომ ბანკის ისტორიიდგან გვახსოვს ისეთი შემთხვევა, როდესაც სულ უბრალო, უმნიშვნელო მიზეზით გაუდევნიათ კაცი ბანკიდგან. ამ რიგად ყიფიანს შეძლება მისცეს წინანდელ ბოროტ-მოქმედებათათვის სხვა ბოროტ-მოქმედებანიც მიემატებინა. ჩაიდინა რა ყველა ეს, ყიფიანი ბაქოდგან საზღვარ-გარეთ წავიდა და ზედამხედველმა კომიტეტმა და გამგეობამ მხოლოდ ამის შემდეგ დაადგინეს დაითხოვონ აგენტობიდგან ყიფიანი, ბრალმდებელს შეატყობინონ და სხვა. თუმცა დაადგინეს ეს, მაგრამ ამის შემდეგ ყიფიანს კიდევ დიდხანს არა სთვლიდნენ დათხოვნილად და ეს, სხვათა შორის, პარიჟში გაგზავნილ დეპეშიდგანაც სჩანს... ამ დეპეშით უთვლიდნენ, მობრძანდით სამსახურშიო. ყველა ზემოდ ნათქვამიდგან აშკარად სჩანს, რომ ამ სამწუხარო საქმეში ერთი კაცი არ არის დამნაშავე; ამ ერთ კაცთან დამნაშავეა აგრეთვე ბანკის გამგეობა და რამდენადმე ზედამხედველი კომიტეტიც.

ნ. ხუდადოვი. ჩვენ არ ვიცით კარგად ბანკის შინაური ცხოვრება; ეს-კი ამ ჟამად ამ სამწუხარო საქმეში უმთავრესია. არ ვიცით, გამგეობა და ზედამხედველი კომიტეტი რად აყოვნებდა საქმეს და გვიან რად მოახდინა ის, რაც ადრე უნდა მოეხდინა. ჯერ ისევ 1899 წლის იანვარში ხმები დადიოდა, რომ ბაქოს სააგენტოში საქმეები კარგად არ მიდის და რაღაც ხდებაო. ეს საკმაო იყო იმისთვის, რომ ყიფიანი დაებარებინათ და იმის ნაცვლად სხვა დაენიშნათ ბაქოში. შემდეგ ორის თვით ადრე, ვიდრე ფულის გაფლანგვა მოხდებოდა, ზედამხედველმა კომიტეტმა და გამგეობამ უწყოდა, რომ სააგენტოში 22 ათასი მანეთი ინახებოდა. ინსტრუქციით-კი აგენტს უფლება არ ეძლეოდა ხელთ 100 მანეთზედაც მეტი ჰქონოდა. ეს მეორე შემთხვევა იყო ყიფიანის გამოწვევისა, მაგრამ ამითაც არ ისარგებლეს. შემდეგ ზედამხედველ კომიტეტის თავმჯდომარემ თავადმა გრუზინსკიმა და წევრმა თავ. ანდრონიკაშვილმა პირველად სცნეს, რომ სააგენტოში საქმეები ვერ იყო კარგად, მაგრამ დაბარებით კიდე არ დაიბარეს და მხოლოდ რევიზია დანიშნეს. რევიზიამ გაჩხრიკა ყველაფერი და მრავალი ნაკლი აღმოაჩინა. და აი ამის შემდეგ ერთი ათად უფრო საკვირველი ხდება გამგეობისა და ზედამხედველ კომიტეტის საქციელი. სწორედ საკვირველი და გასაოცარია, ეხლა მაინც რატომ არ ჩამოართვეს აგენტობა ბ-ნ ყიფიანს? 28 აპრილიდგან 4 ივნისამდე უკვე ყველაფერი გამოირკვა. ჩამოსული რევიზია თითქმის მთელს ერთს თვეს გაჩუმებული იყო. უფრო საკვირველი ის არის, რომ გაჩუმებული იყო თავ. ანდრონიკაშვილი, რომელმაც პირველმა სცნო სააგენტოში მომხდარ უწესოებათა ამბავი. კომიტეტმა და გამგეობამ არც დათხოვნისათვის, არც სამართალში მიცემისათვის და არც სხვა რამისათვის არ იზრუნეს. მხოლოდ 12 დეკემბერს დაადგინეს სამართალში მისცენ ყიფიანი. დაგვიანების მიზეზი უთუოდ ის იყო, რომ ამ საქმეს ისე უყურებდნენ, როგორც შინაურ, ოჯახურ საქმეს. ისე იქცეოდნენ, თითქოს ბანკი საზოგადო დაწესებულება არ იყო, თითქოს ბანკიდგან ბევრ საზოგადო საქმეს არ ეძლეოდეს შემწეობა და დახმარება! ვერავინ ჩვენგანი ვერ იტყვის, რომ გამგეობა და ზედამხედველი კომიტეტი ამ სამწუხარო საქმეში არაფერს შუაში არიანო. არა, ბატონებო ესენი „შუაში არიან“ და ამისთვის პასუხიც უნდა აგონ.

თავ. დ. ლ. ამილახვარი. გამგეობასა და ზედამხედველ კომიტეტს რომ ჯეროვანი ყურადღება მიექციათ დამფასებელ წევრის თავ. თუმანიშვილის განცხადებისათვის და მაშინვე შესაფერი ღონისძიება ეხმარათ, ეს სამწუხარო ზარალი არ მოხდებოდა. მაშინ არც ყიფიანი ჩაებმებოდა დანაშაულში და ბანკსაც ასეთი ზარალი არ მოუვიდოდა. ამ საქმის ბრალი გამგეობასა და კომიტეტს ედება. ამიტომ ვთხოულობ ბანკის მიერ ნაზარალევი 26 ათასი მან. იმ დივიდენდიდგან შეავსონ, რომელიც გამგეობის წევრებს ეკუთვნით.

ზედ. კომიტ. წევრი თავ. დ. ნ. ანდრონიკაშვილი. გვისაყვედურებენ, მეორე რევიზიის შემდეგ რად დავაგვიანეთ საქმე, რატომ თავისს დროზედ კომიტეტს არ წარვუდგინეთ ყველაფერი, რაც რევიზიამ აღმოაჩინა და რატომ მაშინვე არ დავითხოვეთ ყიფიანი, ან არ გამოვიწვიეთ ბაქოდგან. მაგრამ ეს საყვედური უსაფუძვლოა. ჩვენ ხელთ მხოლოდ მშრალი მასალა იყო. ამას გარდა ჩვენ უეჭველად გვინდოდა მოგვესმინა თვით ყიფიანის პასუხი. გვინდოდა გაგვეგო, რა საბუთებს წარმოადგენდა თავისს გასამართლებლად და საზოგადოდ რას იტყოდა. უამისოდ ჩვენ განაჩენს ვერ დავადგენდით. კაცის-მკვლელსაც-კი აძლევენ ხოლმე უკანასკნელ სიტყვის წარმოთქმის ნებას და ყიფიანისთვის როგორ უნდა წაგვერთმია ეს უფლება! ყიფიანმა დააგვიანა პასუხი და ჩვენი მოხსენებაც დაგვიანდა. ყველანი გვისაყვედურებენ, რატომ მარჯვედ არ მოიქეცით და არ გადააყენეთ ყიფიანიო. თქვენგანმა ყველამ იცოდა ეს საქმე, ყველას გაგებული ჰქონდა, მაგრამ იმდენი მოქალაქობრივი გულადობა არავინ გამოიჩინეთ, რომ გამოგეცხადებინათ ეს და მოგეთხოვნათ ყოველივე.

ზედ. კომიტ. წევრი. თავ. ვ. გ. მაყაშვილი. ეჭვი არ არის, ბევრს საოცრად მიაჩნია ის გარემოება, რომ კომიტეტმა რევიზიის მოხსენება ადრე მიიღო, მაგრამ მოხსენების განხილვას მაშინვე არ შეუდგა, ანგარიში არ გაუწია და შემოდგომამდე დააგვიანა. მაგრამ კომიტეტსა და გამგეობას არ შეეძლო უცბად ამ საქმის გადაწყვეტა. უმთავრესი აქ ის უხერხულობაა, რომელშიაც კომიტეტი ჩავარდა. თავმჯდომარე კომიტეტისა და იმის მოადგილე სხვაგან იყვნენ წასულნი. დავრჩით აქ მარტო ჩვენ წევრნი. ჩვენ ჩვენის ნებით ვიკრიბებოდით, მაგრამ არ ვიცოდით, შეიძლებოდა თუ არა კრება გაგვემართა და საქმის განხილვას შევდგომოდით უთავმჯდომარეოდ ან უიმის ამხანაგოდ, მით უმეტეს, რომ კრებაზედ ჩვენის ნებით მივდიოდით და მიწვეულნი-კი არ ვიყავით, როგორც ეს წესადა გვაქვს. ზოგი ამბობდა, კრება უნდა გავმართოთო, ზოგი— ასეთი კრება უკანონო იქნებაო და ამ კამათში გავიდა დრო, ვერაფერი ვერ გადავწყვიტეთ. ამიტომ საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს და რწმუნებულთა კრებამ ერთხელვე გადაწყვიტოს, ასეთ შემთხვევაში როგორ უნდა მოიქცეს კომიტეტი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რათა შემდეგ მაინც აღარ განმეორდეს ის, რაც შარშან მოხდა.

თავ. დ. ა. გურამიშვილი. ამ საქმეში იურიდიულის გარდა ფსიხოლოგიურ მხარესაც უნდა მივაქციოთ ყურადღება. უმთავრესი მომქმედი აქ ყიფიანია. გაიხსენეთ, რა თვალით უყურებდა ჩვენი საზოგადოება ყიფიანს. ყიფიანს ყველა იცნობდა, იგი მიმზიდველ, წყნარ კაცად ითვლებოდა ყველასათვის. რასაკვირველია, ბანკის გამგეობაც ასეთადვე სთვლიდა. ამიტომ გამგეობა და ზედამხედველი კომიტეტი ფრთხილად იქცეოდა და შეიძლება ამ სიფრთხილის გამო ცოტაოდნად დაგვიანდა საქმე. დასასრულ ბანკის გამგეთ ისეთივე დანაშაულობა მიუძღვით ამ საქმეში, როგორიც ჩვენ: ჩვენ ამოვირჩიეთ ყიფიანი და ჩვენ შევიყვანეთ იგი ბანკში.

ნ. ა. ხოსბეგოვი. თავ. ანდრონიკაშვილმა რევიზიის დროს 20 ისეთი უწესოება აღმოაჩინა, რომელიც საკმაო იყო ყიფიანის აგენტობიდან გადასაყენებლად, ან სამართალში მისაცემად. მათ ეს არა ჰქნეს და ეხლა თავ. ანდრონიკაშვილი ჩვენ გვისაყვედურებს, ყველამ იცოდით, მაგრა მოქალაქობრივი გულადობა ვერავინ გამოიჩინეთ და ამ საქმეს ხელი არ მოჰკიდეთო. მე ყიფიანის მოქმედებანი მხოლოდ ეხლა, ამ კრების დროს, გავიგე და ვფიქრობ, ბევრმა სხვამაც ეხლა გაიგო. მაგრამ მაშინაც რომ გაგვეგონა და გვცოდნოდა ყველაფერი, განა ჩვენი ვალდებულობა უფრო იყო, თუ თქვენი ამ საქმის გაძღოლა?

კომიტეტის თავმჯდ. უგან. თავ. ზ. ა. გრუზინსკი. ეს საქმე, როგორც წაკითხულ ოქმებიდგანა სჩანს, მეტად რთულია. ბ-ნი ხუდადოვი ამბობს, რომ 28 აპრილიდგან 4 ივნისამდე საქმე სულ გამოირკვაო. დავეთანხმოთ, რომ რევიზია დარწმუნდა კიდეც ყიფიანის დანაშაულობაში, მაგრამ რევიზიის წევრებს ხომ არ შეეძლოთ თვით გადაეწყვიტათ საქმე? გადაწყვეტა საქმისა კომიტეტისაგან იყო დამოკიდებული. ხოლო ვიდრე კომიტეტს გადაეცა, ვიდრე მან განიხილა, დრო გავიდა. ამასთან თვით სარევიზიო კომისიაც არ იყო ერთის აზრისა. ორი წევრი ამბობდა, რომ ყიფიანს დანაშაულობა არაფერი ჩაუდენია, მხოლოდ უმნიშვნელო ნაკლიაო, ერთგან მაგალითად, თარიღი სწორედ არ არის აღნიშნული, მეორეგან ერთ ადგილას არის ჩაწერილი ის, რაც მეორე ადგილას უნდა იყოს და სხვა. დაკლებით სააგენტოს არაფერი დააკლდა, 118 მანეთის გარდაო. ორი წევრი კიდევ სხვას ამტკიცებდა. მართლაც რევიზიამდე ფული ჯერ არ იყო გაფლანგული. ფული გაჰფლანგა ყიფიანმა 15 მაისიდგან ივნისის პირველ რიცხვებამდე. ხოლო ჩვენ ეს შემოდგომაზედ გავიგეთ ნასირბეგოვისა და სხვათა განცხადების წყალობით. თქვენ თითონ განსაჯეთ, როგორ უნდა მოვქცეულიყავით ამ შემთხვევაში? ყველა ამას გარდა ჩვენ უფლება გვქონდა ყიფიანისთვის აგენტობა ჩამოგვერთმევინა, დირექტორობას-კი ვერ ჩამოვართმევდით.

თავ. ს. რ. ვახვახიშვილი. ჰფიქრობენ, რომ მეორე რევიზიამ ფულის გაფლანგვა აღმოაჩინაო. რევიზიას ეს არ აღმოუჩენია. რევიზიამ მხოლოდ აღმოაჩინა ზოგი რამ უყურადღებობა ყიფიანის მხრივ, შეუსრულებლობა გარეგან წეს-რიგისა და სხვა ამ გვარი უმნიშვნელო შეცდომანი. ხოლო ასეთი შეცდომანი ყოველგვარ კანცელარიაშიაც არის ხოლმე. მით უმეტეს მოსალოდნელი იყო სააგენტოში, რადგანაც ყიფიანი ერთსა და იმავე დროს აგენტიც იყო, ბუჰხალტერიც და მწერალიც. პირველ მაისამდე არავითარი სიყალბე არ მომხდარა. სიყალბის ჩადენის ამბავი ჩვენ მხოლოდ ოქტომბერში შევიტყეთ. ეხლა გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ იმას, თუ რა იყო ყიფიანი ჩვენს საზოგადოებაში და როგორ უყურებდა მას ეს საზოგადოება და განსაჯოთ,— სიფრთხილე საჭირო იყო ჩვენის მხრივ, თუ არა? ეხლა, როდესაც ყველაფერი გამოირკვა, ადვილად ამბობთ, რატომ ასე არ მოიქეცით, ეს არ დაადგინეთ და სხვ. მაგრამ ის კი გავიწყდებათ, რომ მაშინ ყველაფერი ასევე ნათელი არ იყო.

თავ. ა. ზ. ჩოლოყაშვილი. მე ვეთანხმები იმათ აზრს, რომელნიც ამბობენ, რომ გამგეობისა და ზედამხედველ კომიტეტის წევრები დამნაშავენი არიანო. ყიფიანისთვის რომ აგენტობა მაშინ ჩამოერთვათ, როდესაც მცირე უწესოებანი, გაუფრთხილებლობანი და სხვა ნაკლნი შეჰნიშნეს, ბოროტ მოქმედებანი და სიყალბე აღარ მოხდებოდა. ინსტრუქციით აგენტს არ შეეძლო 100 მანეთზე მეტი ჰქონოდა ხელთ. ყიფიანის მიერ გამოგზავნილ ანგარიშებიდან-კი არა სჩანდა, რამდენი შეჰქონდა ბანკში და რამდენს თვით ინახავდა. 17 თებერვალს ყიფიანმა სამხრეთ რუსეთის ბანკიდგან 4,000 მანეთი მიიღო, ანგარიშში-კი არ აღნიშნა ესა. ასეთი მაგალითები ბევრია. 31 მარტიდგან 27 მაისამდე ყიფიანის ასეთი ბოროტ-მოქმედებანი უკვე გამოირკვა და შეიძლებოდა აპრილშივე ურევიზიოდ გაეთავებინათ საქმე და ყიფიანი გამოეწვიათ. ერთის სიტყვით, აპრილში ყოველივე ვუწყოდით. ეხლა როგორ უნდა ვიმართლოდ თავი? ჩემის აზრით, აქ თავის გამართლება შეუძლებელია.

(შემდეგი იქნება)

## ქიზიყის სამღვდელოების ცხოვრებიდგან.

დღეს ყველა შეგნებულთათვის ცხადია, რომ ცოდნით დახელოვნებული საეკლესიო გალობა ტკბილ-ხმოვანი და საამებელი ადამიანის სულისა და გულის სასოებით ამმაღლებელი და გამასპეტაკებელი ღვთიური ძალაა, რომელიც ამასთანავე ერის გულსა და გონებაში მტკიცე სარწმუნოების დამკვიდრების ერთი დედაბოძთაგანიც არის, მეტადრე სარწმუნოებაზედ გულ-აცრუებულ ჩვენის დროის ხალხისათვის.

როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, დღეს ქიზიყშიაც სამწუხაროდ, ძალიან ჭკოჭლობს საეკლესიო გალობის საქმე, რის გამოც სიღნაღის მაზრის სამღვდელოების პირველ ოლქის ბლაღოჩინმა მღ. კირილე ღვთისავრიშვილმა 21 აპრილს მოახდინა სამღვდელოების კრება, განუმარტა გალობის დიდი მნიშვნელობა და ბოლოს სთხოვა: „შევიწროთ ყოველ-წლივ თითოეულმა კრებულმა ხუთი მანათი და გამოკვებნოთ კიდევ სხვა წყარო გალობის მასწავლებლისათვისო. შეიძლება მეორე, მესამე და მეოთხე საბლაღოჩინოს კრებულნიც შემოგვიერთდნენ ამ საქმეში და მაშინ უფრო გალობის საუკეთესო მასწავლებელ-სპეციალისტს მოვიწვევთ და უფრო ფართოდ გაიდგამს ფესვებს ეს საკეთილო საქმეო“. კრებამ ერთხმად მიიღო ბლაღოჩინ კირილე ღვთისავრიშვილის წინადადება.

გალობის მასწავლებელი ხირსის მონასტერში იქნება, სადაც მას უფასოდ უსამღვდელოესობის ეპისკოპოს ლეონიდისაგან დაარსებული სამრევლო სკოლა აქვს დღეს. ქიზიყის დიაკვნები და მონასტრის მორჩილნი პრაქტიკულად შეისწავლიან გალობას მონასტერში ყოველდღე წირვა-ლოცვაზედ, ხოლო თეორიულადაც შეისწავლიან გალობის საქმეს სკოლის უფროსი მოწაფენი. ხირსის მონასტრის წინამძღოლი-არხიმანდრიტი მამა ლეონტი, ძმა აწ განსვენებული ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძისა, სიხარულით მიეგება ამ კეთილ განზრახვას და სიამოვნებით აღუთქვა მისცეს მონასტრის შენობაში გალობის მასწავლებელს სადგომი ბინა და დაეხმაროს სხვაფრივაც, რითაც-კი შეეძლება.

ხალხში მტკიცე სარწმუნოების დამკვიდრებისა და მისის გონებრივ განვითარებისათვის, როგორც მოგეხსენებათ, დიდი გავლენა აქვს აგრეთვე ცოცხალ, ზნეობრივ სიტყვასაც, და აი, ამიტომაც ბლაღოჩინი კირილე ღვთისავრიშვილი ყოველთვის ურჩევს მღვდლებს: ჩააგონეთ ხოლმე მრევლს სწავლის მუქთი აღზრდილი ცოდნა გონების თვალის ასახილებლადაო. მამა კირილე არა იშვიათად უქადაგებს მრევლს ეკლესიაში და ხშირად ეკლესიის გარედაც შინაშიაც და ლხინშიაც ესაუბრება ხალხს საკეთილო, მამა-შვილური სიტყვით. მამა კირილე ღვთისავრიშვილმავე დააარსა თავისის მეცადინეობით 1895 წ. საბლაღოჩინო წიგნთ საცავი, მისივე რჩევით შეუერთდა თავისს პირველ საბლაღოჩინოს სამღვდელოება მეორე საბლაღოჩინოსას და მდგომარე წელს დაარსდა სიღნაღში სამაზრო წიგნთ-საცავი. მ. კ. ღვთისავრიშვილისავე რჩევითა და მეცადინეობით ააშენა წელს ზემო მაჩხაანმა მომავალ სამრევლო საქალებო სკოლისათვის ქვით-კირის კაი მოზრდილი დარბაზი, მისისავე მეცადინეობით ზოგიერთ სამრევლოში, მაგალითად: კეღმეჩურსა, ქედელსა და ზემო მაჩხაანში აუშენეს მღვდლებს საეკლესიო სახლები. წარსულს წელს ტფილისში საეპარქიო კრების დროს ბლაღოჩინმა ღვთისავრიშვილმავე აღძრა კითხვა: ვთხოვოთ მის მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობას ეგზარხოსს, რათა მან ნება მოგვცეს მსჯელობა ვიქონიოთ კრებებზედ შემდეგ კითხვების შესახებაცო: 1) შეიცვალოს დღევანდელი წესრიგი კოდის პურის აღებისა, რომელიც დიდს უთანხმოებას ჰბადავს მღვდელსა და მრევლს შორის სარწმუნოების დასამცირებლადო, 2) ყოველ ეკლესიას მიეზომოს ხაზინისაგან სახნავ-სათიბი მიწები და 3) ყველგან აშენდეს საეკლესიო სახლები კრებულისათვისო. ეს წინადადებანი მიღებულ იქმნა და დღეს მის შესახებ კომისიაცაა აღმორჩეული საქართველოს ეგზარხოსის ფლაბიანეს თავმჯდომარეობით.

კეთილსა და გონივრულს სიტყვას ბევრი რისამე გაკეთება შეუძლიან ხალხში და ბლაღოჩინ ღვთისავრიშვილმა მაჩხაანის დეპოს დამაარსებელს ბ-ნს დ. ნადირაძეს დიდი დახმარება გაუწია: მისი რჩევით და დარიგებით ბევრი მღვდელი და ერის კაცი ჩაეწერა დეპოს წევრად და ბევრი მუშტარიც შეემატა დეპოს. დასასრულ შემწირველნი მოითხოვს ვადიარით ბლაღოჩინ კირილე ღვთისავრიშვილის საკეთილო მოქმედების სამადლობელად, რომ მისი და მღვდელ იოსებ ტუღუშიშვილის მეცადინეობით მალე ქვემო-მაჩხაანის სამრევლო საქალებო სკოლასთან დაარსებული იქნება წიგნთ-საცავი და სამკითხველო მდაბიო ხალხისათვის და მომავალში საკვირაო სკოლაც მოზრდილებისათვის, რომელნიც სულისა და გულის და ჭკუისა და ჯანის დამაზიანებელ სამიკიტნოებში აღამებენ კვირა უქმე დღეებს წარა-მარა ლაყბობით. წრფელის გულითა და სულით ვუსურვებთ ბლაღოჩინს მამა კ. ღვთისავრიშვილს ყოველ ამ საკეთილო საქმეში გამარჯვებას და მსგავსსავე საქმეებში სხვებისაგანაც წაბაძვას და თავ-დადებას, ვითარცა თვით მაცხოვარი გვაბრძანებს მოციქულ იოანეს პირით: „მწყემსმან კეთილმან სული თვისი დასდვის ცხოვართათვისო“.

კეთილ საქმეთა მოყვარე.

## წერილი კახეთიდგან

ასეთი სიძვირე ყოველისფრისა კახეთში არავის ახსოვს: 2—3 კვერცხი შაურად ჰფასობს, ღორის ხორცი 12—15 კაპ. გირვანქა, ცხვრისა 15—20 კაპ., ძროხისა 10—12 და ხშირად 15 კაპ. გამომცხვარი პური საშინლად დაძვირდა. იაფია მხოლოდ ღვინო.

ამ უკანასკნელს წლებში სოფლის მოხელეებს კარგი დარი არ დაუდგათ; ჯერ არც ერთს სოფლის მოხელეს არ შეჰსრულებია სამის წლის სამსახურის ვადა და ბევრმა აიხსნა მამასახლისობის ჯაჭვი ნებით თუ უნებლიეთ; ქიზიყს რომ თავი დავანებოთ და მარტო ბაკურციხის საბოქაულო დავასახელოთ, ამ საბოქაულოში ორმა თუ სამმა დაანება მოხელეობას თავი, მაგ., ახაშნისამ, გელისციხისამ და მუკუზნისაც საფიქრებელია, რადგანაც მთავრობასთან ნათხოვნი აქვს. იმას, რამ გამოიწვია ეს მოვლენა, ჩვენ არ შევეხებით, მხოლოდ რამდენსამე სიტყვას კატეგით გელისციხეში მომხდარ უკანასკნელ არჩევნების შესახებ.

როგორც გაზეთების მკითხველებს ესსომებათ, გელისციხლები უფრველთვის უჩიოდნენ თავიანთს მოხელეებს: ერთის მხრივ ეს ჩივილი სამართლიანი იყო, რადგან ვერც ერთმა მოხელემ ვერ იმოხელა. ასეთის გაჭირვების თავიდგან ასაშორებლად, უკანასკნელს არჩევანზედ მამასახლისად ამოირჩიეს ბ. მ. ქ—ვი და არა მარტო ამოირჩიეს, არამედ ჯამაგირიც დაუნიშნეს, აღარ მახსოვს, კომლზედ თითო მანეთი წელიწადში, თუ გადაწყვით სამოცი თუმანი. როგორც ვიცით, სიღნაღის მაზრაში ეს პირველი თუ მეორე მაგალითია, რომ რომელსამე საზოგადოებას მოხელისათვის ჯამაგირი მიეცეს.

დიდი იმედი აქვს საზოგადოებას, რომ იგი წარმატების გზაზედ დააყენებს საზოგადოებას, თუ ეს იმედი არ გაგვიცრუვდა. ბ-მა ქ—ვმა პირველად ყურადღება უნდა მიაქციოს სოფლის ულაპიო ხარჯ ამკრებთ და ისე აღარ დაადუშვინოს ხალხი, როგორც დღემდის ჰსდებოდა; შემდეგ უნდა ეცადოს, რომ საყასბოსი და ყანთრის საქმე რიგიანს გზაზედ დააყენოს და შემოსავალი სოფელს არ დაუკარგოს. გამოლოგნებთ აგრეთვე, რომ ყასბებს ყოველ თვეღათვე ნიხრს დაუწესებს და შეასრულებინებს, თუ საჭიროება მოითხოვს, იჯარით გასცემს ვაჭრობას ისე, როგორც, მაგალითად, სართიჭალაშია, აზამბურზედ, დაგოდეხში და სხვაგან, რომ ერთხელ და სამუდამოდ საზოგადოებას დაუყენებს მეველეებს მინდვრისას, წყლისას, ვენახებისას და ამასთანავე უფრორე მომეტებულ ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ რაიმე დონისძიებით მოსპოს სოფლებში შინაური ქურდობა. აქვე არ შეგვიძლიან ისიც არა ვთქვათ, რომ ყოველგვარ მითქმა-მოთქმის თავიდგან ასაშორებლად, მოხელემ სოფლის ურილობას უნდა ამოარჩევინოს ორი თუ სამი პატიოსანი და საქმის მცოდნე კაცი და მათ მიანდოს, რომ ისინი განაგებდნენ სოფლის ყველა შემოსავალ გასავალს, რისთვისაც საჭიროა იქონიონ მაზრის უფროსის მიერ შემოწმებული დავთრები. მაშინ სოფელს კრეჭი და წმინდა ანგარიში ეცოდინება თავისის შემოსავალ-გასავლისა, ამასთანავე აღარც მოხელე დაჰკარგავს ამ საქმეზედ მეტს დროს და სოფლის ყოველივე დასახარჯი თავისს დროზედ დაიხარჯება.

თუ ყოველივე ეს, საკუთარ თუ არა, რამდენადმე მაინც აასრულა ბ-ნმა ქ-ვმა, მაშინ გელისციხლებს ბევრი სიკეთის ნიშან-წყალი დაეტყობათ და ასეთის მოხელით შეიძლება იამაყონ კიდეც.

ურიელ აკოსტა

## დამაკვირდი

მხნე კაცისათვის მზე, როგორც იესო ნავინისათვის, საღამოთიცა არ ჩადის.

სტეინბერგი

***

დიდ-კაცნი ლხინსა მართვენ, ხალხი, ერი-კი პირდაპირ ჭლხინობს.

მონტესკიე

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

27 აპრილი.

**პეტერბურგი.** 27 აპრილს, ცესარევიჩის გიორგი ალექსანდრეს ძის დაბადების დღის მოსაგონებლად, პეტრეპავლეს ეკლესიაში გარდახდილ იქმნა წირვა, რომელსაც დაესწრნენ მათი უდიდებულესობანი, ხელმწიფა იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული, მემკვიდრე ხელმწიფე და დიდი მთავრინა ოლღა ალექსანდრეს ასული.

**ლორენცო-მარკეზე.** ორანჟის რესპუბლიკის მთავრობა გადავიდა გეილბრონში.

**ლედისმიტი** ბულერმა პროკლამაცია გამოსცა, რომელიც იუწყება, რომ ნატალის მცხოვრებნი, რომელთაც ჭკუურთ ბურები დასტოვონ, მეგობრულად იქმნებიან მიღებული ინგლისელების მხრივ. ვინც თავისის ნებით დაჰხნებდება სამოქალაქო მთავრობას, უფრო მეგობრულად იქმნებიან მიღებული, ვინემ ისინი, ვინაც ამ პროკლამაციის შემდეგაც განაგრძობენ ბრძოლას ინგლისელების წინააღმდეგ.

**ველბელენი.** ინგლისის ჯარები დაუბრკოლებლივ შემოვიდნენ აქ. ბურებმა ზარბაზნები გაამწკრივეს მდინარის ჩრდილოეთ მხარეს და შემდეგ წავიდნენ.

**ტაბანჩუ.** ბურებმა გადაიტანეს მთავარი სადგური ლედი-ბრანდიდგან კლო-

კილაშში და მძიმე გამაგრებულ ადგილას არიან დაბანაკებულნი მეკეტილებს გასასვლელის მახლობლად. რენდლმა და ბრაბანტმა დაიჭირეს სტრატეგიული ადგილები, რომლებიც დაჭერილნი ჰქონდა ბურ-ბურების გზის სამხრეთ მადლისა.

**კიმბერლეი.** აქ მეზობელ ჯერ-ბურებს არ აკლია შეტაკება, რომელთაც ამბობენ, რომ მოსაწყენი მიდამოებში ბრძოლა დაიწყო. ჯარ-ჯართან გარეშე დიდი სამხრეთის გამოდელადი იქნეს.

**ვოლგონდი.** ბოლო კვირის დღეს ჯარის დაიბანაკა, გაძლიერებისა და ჩაზლხან ჯარისთავი ფართო ბრძოლის ადგილი გარეშე ჩრდილოეთ ჯარმა ნაწილები დაიკავა. ჩვენ უნდა ადგილს დაბანაკებული ძლიერი ზერდის და მტრის უფრო შორს ჯარი გადაადგილდა თავისთვის არ მოუნდება.

**ლორენსო-მარკეზი.** ბურის აფერობი არ უშვებს ტრანსვაალში ხორბალს, ხორცს, ტანსაცმელს და ფეხსაცმელს, რადგან სამხედრო კონტრაბანდად თვლიან ამ საქონელს.

**პრეტორია.** ოფიციალური. კეირის ინგლისელებმა თავს ფორტიფიკაციებს. უმეტესობა იმყოფება ჯარისკაცი, მოკლული თუ ჯარი დაჭრილება ამ ადგილებს.

კრიუგერმა დეპეშა მიიღო ერთი ბურ-ქალისაგან, რომელიც კითხულობს, დროს არის ჯარ თუ არა, ქალებს ჯარში შესვლა? მე მზადა ვარ ჩემი ხელით ხელში სხვა ქალებთან ერთად წავიდე ქვეყნის დასაცავად.

საერთოდ კრებამ განაჩენი დაადგინა, რომელიც ამ ომის სიმშვიდის დროს სხვა მიწის არ შეიწყნარა სამშვიდობო წინადადება. სიდამბისათვის დეპეშაში საქმის გარე მოხვდა. მართალია არ იყო მოწყენილი. საერთო კრება მადლობას სწირავს სასულიერო პირებს მეჭურვისათვის და თანაგრძნობისათვის, წინამძღოლობას აგზავნის, ქვეყნის კონფერენციას დაწყებასთვის და, უცხოეთში, აგზავნის შთაბეჭდილების აპირებს მიმართვას.

28 აპრილი

**ლონდონი.** აქ. ზანდიდან ღებულობს ცნობებს: „მტერმა, რომელიც ბევრ დაიჭირა, ოკუპ ტილი მანძილზე ბრძოლა დაიწყო. ინგლისელთა პოზიცია უფრო გაძლიერდა ჩვენი ზარალი მცირეა. კავალერიამ ცხენოსანი არტილერია სამი მხრიდან სცვდებოდა მტერს.“

**დურბანი.** ბულერის ჯარში დიდი მოძრაობა. არავითარ ცნობას ჯარის წასვლის შესახებ არ უშვებენ.

**ლონდონი.** პალატა. ჩემბერლენმა განაცხადა, რომ ამ ჟამად ნატალში კომისიაა. ამ კომისიამ უნდა გამოარკვიოს იმათი მოთხოვნილებანი, ვინც ომის გამო გამოწვეულ ზარალში ჯილდოს თხოულობს. ჯილდო იმ სამხედრო გარდასახადით იქმნება დაფარული რომელიც, მტერს გარდაჰხდება. ბროდრიკმა სთქვა არაფერი ამბავი მიმილია იმის შესახებ, ვითომ რუსეთსა და ოსმალეთს შორის მოლაპარაკება ყოფილიყოს ტენედოსისა და როდოსის კუნძულებზე ადგილის დათმობის შესახებ ნახშირის საწყობის გასამართავად.

თავად.

**პრეტორია.** ფოლკსრიდის სესსია დასრულდა.

**უმა.** ცეცხლმა გაანადგურა 10 სახლი და ვოგის საწყობი. ზარალი ნახევარ მილიონამდეა.

**ვენა.** ავსტრო-უნგრეთის ელჩი ჩინეთში არც საბუთი და არც მინდობილობა ჰქონდა პორტს წინაშე ლაპარაკი დაეწყო ჩერნოგორიის პრინცეში საელჩოს საქმის შესახებ.

**წერილი რედაქციის მიმართ.**

„დორპატის ქართველი სტუდენტობა უღრმეს სულით მადლობას სწირავს ჩვენ ცნობილ მწერალს ბ-ნ ანტონ ფურცელაძეს, რომელმაც სტუდენტთა სამკითხველოს შემოსწირა თავისი ცალი წიგნი თავის ნაწერებიდგან. აწერთ ვილისბეკს, რომელმაც სტუდენტებს სამკითხველოში ჩრეთი წიგნი ეკლესიის ნაწერებიდგან, ვიჩმანი, როზენბახი, მანანა, „მზრდლი საქართველოს მოსაპონდ...“, „მეგრელთა დიდობა“ და სხ. ამგვარ მოიპოვება ჩვენში, რის გამოც აუტორმა ეგი მოგვაწოდა ისინი.

მონდობილობით სტუდ. იგ. პოლუმორდვინოვი

**სასამართლოს ცნობები.**

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეები განსახილველად დანიშნულია:

სისხლის სამართლის ზირველი დეპარტამენტი

5 მაისი

საქმე სერაფიონ თალაკვაძისა, რომელსაც პოლიციის ბოქაულის თანაშემწის სოსის წინააღმდეგობა დაედება ბრალად.

სახიმ საჯაიანი, რომელსაც სისხლის სამართლის დებულების მე-9, მე-1459 მუხ. მე-2 ნაწ. და მე-1630 მუხ. აღნიშნული ბრალი ედება.

გლახუნ და გიორგი ლონტიძეს, რომელთაც ავსტროს მოხელის და იმისს დარაჯის ცემის ბრალი ედება.

ვარლამ ლოლუაძე, რომელსაც სიყალბის ნადების ბრალი ედება.

ერმილე ერჯომიძის, რომელსაც გატაცების ბრალი ედება.

2 მაისი

საქმე მიხეილ კაპანაძისა, რომელსაც სისხ. დებ. მე-1653 მუხ. აღნიშნული ბრალი ედება.

დიმიტრი და ნიკო ცეცხლაძეთა და აბრამ ბეკიჩოვისა, რომელთაც ქურდობის ბრალი ედება.

თეოფილე კვარაცხელიასი, რომელსაც სისხ. დებულ. მე-1525 მუხ. აღნიშნული ბრალი ედება.

8 მაისი

საქმე სვეტრიანე კებბიაძისა და ნესტორ ტყემელაშვილისა, რომელთაც სისხ. დებულ. მე 1651 მუხ. აღნიშნული ბრალი ედებათ. ალექსი გოგიაძე, რომელსაც სისხ. დებ. 1458 მუხ. აღნიშნული ბრალი ედებათ.

მესამე სამოქალაქო დეპარტამენტი.

2 მაისი

დავანი, რომელნიც გამოწვეულ იქმნენ შორაპნის მაზრის აგარაკ ხოზიაულს გამიჯვნის დროს.

16 მაისი

დავანი, რომელიც გამოწვეულ იქმნენ გორის მაზრის აგარაკ ხარულას და ოზურგეთის მაზრის აგარაკ ვაკის-ჯვარის გამიჯვნის დროს.


# განცხადებანი

# ვკისრულობ

სასამართლოში საქმეთა წარმოებას.

მსურველთ შეუძლიათ მოგვმართონ დილის 8—10 საათ. და სალ. 6—8 საათამდე.

ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი № 42.

(5—1)



## თვით-მოძრავი ელევატორი ხან-აგოვისა.

ასეთს ელევატორს დღე და ღამ განუწყვეტლივ აქვს წყალი თავის-თავად ქვეიდგან ზევით. იგი საუცხოვოა მინდვრებისა და ბაღების სარწყავად.

მსურველმა ამ ადრესით უნდა მიჰმართოს:

Л. Е. Ханъ-Агову, Тифлисъ, Петербургская улица, № 12.

(15—102—3)

გამოვიდა ახალი წიგნები:

ა) **უკვდავთა ღაღადებანი**

ფასი: ყდით 20 კაპ., უყდოთ 15 კ.

ბ) **ქართული მწერლობა მე XI-მდე**, ფასი 40 კაპ.

გ) **Царица Тамара**, ფასი 50 კ.

დ) **Груз. обители внѣ Грузіи**, ფ. 25 კ.

ე) **Истор. груз. церкви**, ფ. 40 კ.

(20—უ.—3)

პუშკინის ფოტოგრაფია

## ა. ს. ნორდშტეინისა,

რომელიც 1892 და 1899 წლამდე როინოვის ფოტოგრაფიას განაგებდა, აკეთებს ყოველ-გვარ ფოტოგრაფიულ საქმეს. სურათების გადაღება შეიძლება ყოველ დროს, მიუხედავად ამინდისა. სამხედრო წოდების კაცთ და მოსწავლეებს ნაკლები სასყიდელი გამორთმევათ. ტფილისი, პუშკინის ქ., წურინაშვილის სახლი, თიმამშვილის ქარვ. პირდაპირ.

(30—44—27)




(50—267—28)

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. —3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




## ახალი საშუალება

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

## „კვერცხის რძე“

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან ლამწვარს კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია:** დიდი ქილა —2 მან; პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთიაქო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ №15, სადგ. 12. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერივნის მოედ. სააფთიაქო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში, იყიდება აგრეთვე ხადზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთიაქო მაღაზიაში. ქალაქ გარეთ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ პოსტით გაეგზავნებათ. (100—150—95)

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ იღებს შეწირულებას სოფ. მარტყოფის (ტფილისის მაზრა) მაცხოვრის ხელთ-უქმნელ ხატის სახელობის ტაძრის განსაახლებლად. (3—6.—3)



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

**კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა ბ. მ. მირიმანიანისა**

## музыкальное депо М. МИРИМАНЯНА.

Тифлисъ. Дворцовая ул.

(28—5.—26)

# ПАРИЖСКАЯ ГАЗЕТА

**Русское ежедневное политическое и литературное изданіе съ иллюстраціями въ текстѣ.**

I. Оффиціалный отдѣлъ: Дѣйствія и распоряженія русскаго правительства.—II. Циркуляры и распоряженія по всемірной выставкѣ и по русскому отдѣлу.—III. Ежедневныя телеграммы и корреспонденціи изъ крупнѣйшихъ центровъ Еевропы и изъ главнѣйшихъ городовъ России отъ собственныхъ корреспондентовъ.—IV. Политическое обозрѣніе.—V. Обзоры русской и иностранной печати.—VI. Хроника русской столичной и провинціальной жизни.—VII. Хроника иностранной жизни.—VIII. Судебный отдѣлъ.—IX. Театръ и музыка.—X. Фельетонъ: научное обозрѣніе, беллетристика.—XI. Всемірная выставка: описанія русскаго и иностранныхъ отдѣловъ.—XII. Спортъ.—XIII. Биржевой бюллетень.—XIV. Библіографія.—XV. Справочныя свѣдѣнія.—XVI. объявленія.

Отдѣльные номера въ Парижѣ по 15 сантимовъ.

Подписка принимается съ 1-го и15-го каждаго мѣсяца.

**ЦѢНА СЪ ДОСТАВКОЙ И ПЕРЕСЫЛКОЙ:**

| | 1 мѣсяцъ | 3 мѣс. | 6 мѣс. | 1 годъ |
|---|---|---|---|---|
| Во всѣ города Россіи. . . . . . | 3 р. | 8 р. | 15 р. | 28 р. |
| Въ остальные города почтоваго союза. | 7 франк. | 17 фр. | 35 фр. | 70 фр. |
| Въ парижѣ и въ Д-тѣ Сены и Уазы. | 5 фр. | 13 фр. | 25 фр. | 50 фр. |
| Въ остальной Франціи. . . . . . | 6 фр. | 15 фр. | 30 фр. | 60 фр. |

Объявленія (для Россіи) { На 1-ой стр. по 5 франковъ (2 руб.) за строку петита. На 4-ой стр. по 1 фр. 50 сант. (60 к.) „ „

Подписки и объявленія принимаются:

**въ главной конторѣ парижской газеты.**

Парижъ, 18, Бульваръ Монмартръ

(Administration de la PARIJSKAYA GAZETA Paris, 18, boulevt rd Montmartre); въ отдѣленіи конторы на всемірной выставкѣ, въ главнѣйшихъ книжныхъ магазинахъ заграницы и Россіи, въ книжныхъ магазинахъ Т-ва Вольфа, Мелье, **петербургѣ** и Новаго Времени въ **петергбургѣ, москвѣ, харьковѣ** и **одессѣ**; въ **москвѣ**: въ конторѣ ф. Зголинскаго, (отдѣленіе конторы Русскаго Листка) Петровка д. Грачева; въ **москвѣ** и **петербургѣ**: въ конторѣ торговаго дома Л. и Э. Метцль и К° и въ Агентствѣ Парижской Прессы Віолэ; въ **одессѣ**: въ книжныхъ магазинахъ Руссо, Москетти, Распопова, Штадельмайера и въ газетномъ кіоскѣ Свистунова; въ **кіевѣ**: въ книжномъ магазинѣ Идзиковскаго, въ Харьковѣ въ книжномъ магазинѣ Юж. Края.

Отдѣльные номера продаются въ кіоскахъ и на станціяхъ желѣзныхъ дорогъ. (5—უ.—3)